მიშელ ფუკო: პანოპტიკონი



მიშელ ფუკო: პანოპტიკონი

ჩვენთვის ცნობილია ბენტამის „პანოპტიკონის“ არქიტექტურული სახე: შენობას, რომლის ცენტრშიც კოშკია აღმართული, ბეჭდის რკალის ფორმა აქვს. კოშკზე დატანებული ფართო სარკმლები რკალის შიგნითა მხარეს გადაჰყურებს. რკალისებრი შენობა კამერებადაა დაყოფილი, კამერებს კი ორ-ორი სარკმელი აქვთ; ერთი შიგნით, მეორე კი გარეთ გამოდის, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მთელი კამერა სრულიად ხილვადი იყოს. კამერებში რომ სათითაოდ ჩავსვათ შეშლილი, ავადმყოფი, განსასჯელი ანდა მოწაფე, ხოლო ცენტრალურ კოშკში დავაყენოთ ერთი ზედამხედველი, სავსებით საკმარისი იქნებოდა. კოშკის თვალისმომჭრელი ნათების წყალობით, ჩვენ შეგვიძლია კამერებში ტყვეთა მკაფიოდ გამოხატული ფიგურები დავინახოთ. რამდენი საკანიცაა, იმდენივე ერთი მსახიობის თეატრიცაა, რადგან ყველა მსახიობი მარტოდმარტო, სრულიად ინდივიდუალიზირებული და მუდმივად ხილვადია. პანოპტიკური მოწყობა ორგანიზებას უკეთებს სივრცულ ერთეულებს და შესაძლებელს ხდის მათ გამუდმებით ყურებას და დაუყოვნებლივ ამოცნობას. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი პრინციპი ბნელი დილეგის საწინააღმდეგოა. კარცერის სამი ფუნქციიდან (გამომწყვდევა, მზის სინათლისგან მოწყვეტა და თვალისაგან დამალვა) მხოლოდ პირველი ნარჩუნდება, დანარჩენი ორი კი უქმდება. კაშკაშა სინათლე და ზედამხედველის მზერა, წყვდიადზე უკეთ ატყვევებს, რომელიც საბოლოო ჯამში იცავდა დატყვევებულს. ხილვადობა, სინამდვილეში ხაფანგია.

თითოეული ინდივიდი საიმედოდ ჩარზულ კამერაში ზის. გარედან მას ზედამხედველი უყურებს. საკანში გამომწყვდეულს, ციხის შიდა კედლები იმის საშუალებას უსპობს, რომ მის გვერდით კამერაში მყოფ მეზობელთან კონტაქტი დაამყაროს. მას ხედავენ, ის კი ვერავის ხედავს. ის ინფორმაციული ობიექტია, მაგრამ არასოდეს კომუნიკაციის სუბიექტი. ცენტრალური კოშკის მოპირდაპირედ კამერის მდებარეობა, უზრუნველყოფს, რომ მას გამუდმებით უთვალთვალებდნენ. რკალის შიგნით არსებული გადატიხრული სივრცე, ერთმანეთისაგან გამოყოფილი კამერები, გვერდითი მხრიდან არახილვადობას გულისხმობენ; და სწორედაც რომ ამგვარი არახილვადობა გვევლინება წესრიგის გარანტორად.

პანოპტიკონის მთავარი მიზანიც აქედან გამომდინარეობს: გადაიყვანო დაპატიმრებული მუდმივ და შეცნობადი ხილვადობის ისეთ არეში, რომელიც

ძალაუფლების ავტომატურად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. ეს იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ზედამხედველობა თავის შედეგებში მუდმივი იყოს; და თუ ის მაინც წყვეტილად ხორციელდება, პანოპტიკონის არქიტექტურული აპარატი იმგვარი მანქანა-მექანიზმი უნდა იყოს, რომელიც ქმნის და ეხმარება ძალაუფლებრივ ურთიერთობებს მისი აღმასრულებელი ადამიანისაგან დამოუკიდებლად.

ბენტამის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპის თანახმად, ძალაუფლება ჩენადი და შემოწმებისათვის მიუწვდომელი უნდა იყოს. დატყვევებულს ცენტრალური კოშკის ჩრდილი მუდამ თვალწინ უნდა ედგას და არასოდეს უნდა იცოდეს უთვალთვალებენ თუ არა მას ზუსტად აი ახლა, მაგრამ ამავდროულად ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შესაძლოა ნებისმიერ დროს უთვალთვალებდნენ.

ძალაუფლების პრინციპი არა იმდენად ადამიანში, რამდენადაც სხეულების, ზედაპირების, სინათლის, მზერათა განსაზღვრულობასა და წინასწარ მოფიქრებულობაში მდგომარეობს. ცერემონიები, რიტუალები და ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც სუვერენი ძალაუფლების სიჭარბეს ავლენდა, უსარგებლო ხდება. ასიმეტრიის, დისბალანსისა და განსხვავების ხელშემწყობი მექანიზმები კი კვლავაც მოქმედებენ. შესაბამისად, მნიშვნელობა არა აქვს ვისგან მოდის ძალაუფლება. ლამის ალალბედზე შერჩეულ ნებისმიერ პირს შეუძლია მანქანა-მექანიზმის ამუშავება: უფროსის არყოფნისას, მის ოჯახის წევრებს, მეგობრებს, მნახველებსა და მსახურებსაც კი. პანოპტიკონი - სასწაულმოქმედი მანქანაა, რომელიც იმის მიუხედავად თუ როგორ გამოიყენებენ, ძალაუფლების ერთნაირ ზემოქმედებას აწარმოებს.

პანოპტიკონი პრივილეგირებული ადგილია ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩასატარებლად და ანალიზის გასაკეთებლად, რაც სრული სანდოობით აჩვენებს თუ რა გარდაქმნები შეიძლება მოყვეს მას. პანოპტიკონი ძალაუფლების თავისებურ ლაბორატორიას წარმოადგენს. თავისი მექანიზმების წყალობით მას შეუძლია ეფექტური როლი ითამაშოს და გავლენა იქონიოს ადამიანთა ქცევაზე.

პანოპტიკონი ფუნქციონირების განმაზოგადებელ მოდელად უნდა გავიგოთ, როგორც მეთოდი იმისა, რომ ძალაუფლებასთან მიმართება ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების ტერმინებში განსაზღვროთ. თუმცა, პანოპტიკონი არ უნდა აღვიქვათ როგორც საოცნებო რამედ: ის ძალაუფლების მექანიზმის დიაგრამაა, რომელიც იდეალურ ფორმამდე მიდის; მისი ზემოქმედება წმინდა არქიტექტურულ და ოპტიკურ სისტემად უნდა წარმოვიდგინოთ. ყოველგვარი მატერიალური

ინსტრუმენტების სათვალავში მიუღებლად, გეომეტრიულისა და არქიტექტურულის გარდა, ძალაუფლება ინდივიდებზე უშუალოდ ზემოქმედებს, ის ცნობიერებას, ცნობიერებაზე მძლავრობისათვის, ძალაუფლებით მოსავს. პანოპტიკური სქემა ძალაუფლების ნებისმიერ აპარატს აძლიერებს; ის მის ეკონომიას (აღჭურვილობა, პერსონალი, დროის განაწილება) და ეფექტურობას განაპირობებს.

მეფის სხეული, მისი უცნაური მითიური და მატერიუალური თანაყოფნით, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ძალაუფლების პანოპტიკონის მიერ წარმოდგენილ ახალ ფიზიკასთან. პანოპტიზმი „პოლიტიკური ანატომიის“ ზოგადი პრინციპია, რომლის ობიექტი და მიზანი არა უზენაეს ძალაუფლებასთან, არამედ დისციპლინასთან მიმართებაა.

დისციპლინის ყველგან გავრცელება კლასიკურ ეპოქაში მოხდა. დისციპლინის ინსტიტუტების გამრავლება, რომელთა ქსელი სულ უფრო და უფრო მეტ ფართობს ფარავს, ამას ადასტურებს: ის რაც კუნძული, რაღაც პრივილიგირებული ადგილი, მხოლოდ განსაკუთრებული მოდელი იყო, ზოგად ფორმულად იქცა.

ჩვენი საზოგადოება - ზედამხედველობის საზოგადოებაა და არამც და არამც სანახაობისა. ზედამხედველობის ზედაპირული საფარველ ქვეშ ის სხეულთა სიღრმეში ჩაეფლობა. კომუნიკაციის არხები ცოდნის დაგროვებისა და ცენტრალიზაციის საყრდენებად გვევლინებიან. ნიშნებით თამაში ძალაუფლების ღუზების სადგომებს განსაზღვრავს. არ უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი წესრიგი ინდივიდის მთლიანობას წნეხის ქვეშ აქცევს, შერყვნის და მოკვეთს - ინდივიდი უმალ მასში იწარმოება სხეულთა და ძალთა განსაკუთრებული ტექნიკების წყალობით. ჩვენ ბევრად უფრო ნაკლებად ვართ ბერძნები, ვიდრე გვგონია. ჩვენ არც ამფითეატრის სკამებზე ვსხედვართ და არც მის სცენაზე ვიმყოფებით; ჩვენ ძალაუფლების გამოვლინებების მიერ შეპყრობილები, პანოპტიკონის მანქანაში ვართ და მას გორგოლაჭების მაგივრობას ვუწევთ.

დისციპლინის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ის ცდილობს ძალაუფლების იმგვარი ტაქტიკის შემოღებას, რომელიც შემდეგ სამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: მისი აღსრულება მაქსიმალურად იაფი უნდა ჯდებოდეს (ეკონომიკურად - მცირე გასავალის გამო და პოლიტიკურად - თავშეკავების ძალით, სუსტი გარეგნული გამოხატულბით და ნაკლებად ხილვადობით). სოციალური ძალაუფლების ამგვარი მოქმედება მაქსიმალურად ძლიერი უნდა იყოს და ვრცელდებოდეს რაც შეიძლება მეტად, მარცხისა და ხარვეზების გარეშე. და ბოლოს, ძალაუფლების ეკონომიკური

ზრდა წარმოების აპარატებთან უნდა იყოს დაკავშირებული (საგანმანათლებლო, საბრძოლო, სამრეწველო, სამედიცინო), რომელთა წიაღშიც ის აღსრულდება. მოკლედ რომ ვთქვათ, აუცილებელია ერთდროულად იზრდებოდეს სოციალური სისტემის ელემენტთა, როგორც მორჩილება, ასევე სარგებლიანობა.

დისციპლინა მოწოდებულია ჩაანაცვლოს ძალაუფლება, რომელიც მისი აღმასრულებელის ბრწყინვალებისაგან გვევლინება; ძალაუფლება, მალულად ობიექტებად აქცევს ყველას, ვისაც კი ის მიეყენება. დისციპლინამ ინდივიდების შესახებ ცოდნის ფორმირება უნდა მოახდინოს, ნაცვლად სუვერენის ძალაუფლების ნიშნების სააშკარაოზე გამოტანისა. ერთი სიტყვით, დისციპლინა წვრილმან ტექნიკურ გამოგონებათა ურთიერთდამთხვევაა, რომლებიც საშუალებას იძლევიან სიმრავლეთა (საამქრო, არმია თუ სკოლა), სარგებლიანობა გაზარდონ, რაც მიიღწევა ძალაუფლების წარუმატებლობების მინიმუმამდე დაყვანით;

არსებითად, ორი პროცესი, ხალხის მოგროვება და კაპიტალის დაგროვება ერთმანეთისაგან განუყოფელია. ხალხთა მოგროვების პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იქნებოდა წარმოების აპარატის ზრდის გარეშე, რომელსაც მათი მოცვა და გამოყენება ძალუძს. და პირიქით, ტექნიკები, რომლებიც სასარგებლოს ხდიან დაგროვილ ხალხთა სიმრავლეს, კაპიტალის დაგროვებას .

კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდამ დისციპლინური ძალაუფლების სპეციფიკური მოდალობები შვა: მისი ზოგადი ფორმულები, ძალთა და სხეულთა დაქვემდებარების მეთოდები; მოკლედ რომ ვთქვათ, „პოლიტიკურ ანატომიას“ ყველაზე განსხვავებულ პოლიტიკურ რეჟიმებში, აპარატებსა და სისტემებში შეუძლია მუშაობა.

XVIII საუკუნისთვის ცოდნის ფორმირება და ძალაუფლების ზრდა წრიული პროცესში ერთმანეთის გამუდმებით განმტკიცებას იწყებენ. დისციპლინა აქ „ტექნოლოგიურ“ ზღურბლს აბიჯებს. თავდაპირველად საავადმყოფოს, შემდგომში სკოლას, მოგვიანებით კი სახელოსნოს დისციპლინები არა თუ უბრალოდ გადააკეთებენ, არამედ იმდაგვარ აპარატებად აქცევენ, რომ ობიექტივაციის ყოველგვარ მექანიზმს მათი დაქვემდებარების ინსტრუმეტებად გამოყენება შეუძლია, ხოლო ძალაუფლების ზრდის ყოველ ჯერზე შესაძლოა ახალი ცოდნა იშვას. სწორედ ამ ტექნოლოგიურ სისტემათა თანმხლებმა კავშირმა გახადა შესაძლებელი, რომ კლინიკური მედიცინა, ფსიქიატრია, ბავშვთა ფსიქოლოგია, პედაგოგიური ფსიქოლოგია და შრომის რაციონალიზაცია დისციპლინარულ ელემენტებად ჩამოყალიბებულიყო. აღმოჩნდა რომ ორმაგ პროცესს აქვს ადგილი:

ეპისტემოლოგიურ გახსნილობას, გამოცხადებას, - ძალაუფლების აღსრულების სრულქმნის მეშვეობით და ახალ ცოდნათა დაგროვებით, ძალაუფლების შედეგთა გამრავლებას.

ფაქტობრივად, ემპირიული ცოდნის ფორმირების საწყისი, მისი საფუძველმდებარე ელემენტი დაკითხვა იყო. ის ექსპერიმენტული ცოდნის იურიდიულ-პოლიტიკური მატრიცაა, რომელიც როგორც ცნობილია, ძალზედ სწრაფად განვითარდა შუა საუკუნეების მიწურულს. თუ სიმართლე გნებავთ, საბერძნეთში მათემატიკა გაზომვის ტექნიკებისგან იშვა, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, შუა საუკუნეების ბოლოს დაკითხვის ტექნიკებისგან. დიადი ემპირიული ცოდნა, რომელმაც სამყაროს ნივთები გარემოიცვა და უსასრულო, აღმწერი, „ფაქტების“ დამდგენელი დისკურსის წესრიგში ჩართო, ინკვიზიციის მოდელის მიხედვით მოქმედებდა. ინკვიზიციის, იმ დიდი გამოგონებისა, რომელმაც ჩვენი მეხსიერების წყვდით მოსილი კუნჭულები შეძრა. მაგრამ ვიდრე ეს იურიდიულ-პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის, სასულიერო და საერო დაკითხვა იქნებოდა, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის ის დისციპლინური ანალიზი გახდა, ამ მეცნიერებათა ტექნიკური მატრიცა, რომელიც აგერ უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენს „ჰუმანურობას“ აამებს, დისციპლინისა და დაკითხვის შარიან, პედანტურ, ბოროტებით სავსე კირკიტს წარმოადგენს.

შუა საუკუნეების დაკითხვის პროცედურა თანდათანობით ძველ მბრალდებელ ზეგარდმოსულ სასამართლო პროცესს მიება. დისციპლინური მეთოდი კი, მეორე მხრივ, ქვემოდანაც, ცბიერად შეიჭრა სისხლის სამართალში, რომელიც პრინციპში ინკვიზიტორულად რჩება. დღევანდელი სადამსჯელო სისტემის მახასიათებლები: დამნაშავის პიროვნებით დაინტერესება, სწრაფვა იმისაკენ, რომ დასჯა გამოსწორებად, თერაპიად, ნორმალიზაციად გადაიქცეს; სასამართლო გადაწყვეტილების სხვადასხვა ინსტანციას შორის დანაწილება, რომლებმაც უნდა დაადგინონ ზომები, შეაფასონ, დიაგნოზი დაუსვან, უმკურნალონ და გარდაქმნან ინდივიდები, დიციპლინური გამოცდების სამსჯავრო ინკვიზიციის სიღრმეში შეღწევაზე მოწმობს.

ამიერიდან, სასამართლოსთვის „საჭირო ობიექტად“ განიხილება არა დამნაშავის სხეული, რომელიც მეფის სხეულს აღუდგა წინ, არამედ დისციპლინური ინდვიდი. მონარქიული რეჟიმის საფრანგეთის სისხლის სამართლის მსაზღვრელი მეფის მკველის სხეულის უსასრულოდ დანაწევრებაა. ამჟამინდელი სისხლის სამართლის იდეალური წერტილი კი უსასრულო დისციპლინა, დაუსრულებელი დაკითხვებია.

დაკითხვა, რომელსაც ბოლო არ უჩანს - დეტალიზებული და სრულ უფროდაუფრო მეტად დამანაწევრებელი ზედამხედველობა; განაჩენის გამოტანა და ამავდროულად საქმის წამოწყება, რომელიც არასოდეს დაიხურება.

საჯაროდ დასჯა იმ სასამართლო პროცედურის ლოგიკური დასასრულია, რომელსაც წინ ინკვიზიცია მიუძღვის. ინდივიდებზე „ზედამხედველობა“ კი გამომცდელი პროცედურებითა და დისციპლინური მეთოდებით ნასაზრდოები სასამართლოს ბუნებრივი გაგრძელებაა. განა გასაოცარია, მრავალკამერიანი ციხე, თავისი რეგულარული ჩანაწერების სისტემებითა და იძულებითი სამუშაოებით, თავისი ზედამხედველობის ინსტანციებით, შეფასებებით და სპეციალისტებით, რომლებიც მოსამართლის ფუნქციებს იღებენ და ამრავლებენ, დასჯის თანამედროვე ინსტრუმენტად რომ იქცა? ნუთუ რამე გასაკვირია იმაში, რომ ციხეები აგრერიგად გვანან ქარხნებს, სკოლებსა ყაზარმებსა და საავადმყოფოებს?

XVII-XVIII საუკუნეებში დისციპლინა ბატონობის ზოგად ფორმად იქცა. იბადება ადამიანის სხეულის ფლობის ხელოვნება, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მისი მოხერხებულობისა და გაწაფულობის გაზრდაზე, არა სულ უფრო მეტ მორჩილებაზე, არამედ ურთიერთობათა ფორმირებაზე. ეს უკანასკნელი კი რაც უფრო მეტად შემსმენელი ხდება, მით უფრო იზრდება მისი სარგებლიანობაც და პირუკუ. შედეგად იძულების პოლიტიკა ყალიბდება, ხდება სხეულზე მუშაობა. სხეული ძალაუფლების მექანიზმში ერთვება, რომელიც გულმოდგინედ გადაამუშავებს მას, არღვევს მის შინაგან წესრიგს და ხელახლა ჰკრავს.

დისციპლინა სხეულის ძალას ზრდის (ეკონომიკური სარგებლიანობის მიხედვით) და ამასთანავე კიდეც ამცირებს მას (პოლიტიკური მორჩილების თვალსაზრისით). მოკლედ რომ ვთქვათ, ის სხეულისაგან გამოჰყოფს ძალებს: ერთი მხრივ, მის უნარიანობას, სარგებლიანობას ზრდის, მეორე მხრივ ენერგიას, მის ძლიერებას მიმართულებას უცვლის.

უპირველეს ყოვლისა, დისციპლინა სივრცეში ინდივიდების განაწილებასთანაა კავშირში. ამისათვის ის რამდენიმე მეთოდს იყენებს:

1. ის ზოგჯერ მოითხოვს შემოზღუდვას, სპეციფიკურ ადგილს, სხვა დანარჩენებისაგან განსხვავებულს და თავის თავში ჩაკეტილს;
2. დისციპლინის მექანიზმები სივრცეს გადაამუშავებენ უფრო მეტად ნატიფი წესით. ის ორგანიზებას უკეთებს გაანალიზებად სივრცეს;

3. ფუნქციური განაწილების წესი ზედამხედველობის ინსტიტუტების მეშვეობით კოდირებას უკეთებს სივრცეს, მხედველობაში იღებს რა მის მრავალგვარ გამოყენებას, არქიტექტურას თავისუფლებას უტოვებს.
4. დისციპლინის ელემენტები ურთიერთჩანაცვლებადია, რამდენადაც თითოეული მათგანი ადგილის, რიგის და სხვებს შორის დაშორების სივრცის მიხედვითაა განსაზღვრული. შედეგად, მისი ერთეული არის არა ტერიტორია (ბატონობის ერთეული), არა ადგილი (განთავსების ერთეული), არამედ რანგი.

თანდათანობით, ჩამოყალიბდა სწავლების დროის ახლებური ეკონომიაც. სასკოლო სივრცემ ფუნქციონირება დაიწყო, როგორც სწავლების, ზედამხედველობის, იერარქიზაციისა და დაჯილდოების მექანიზმმა.

ამგვარად, ადგილების, რანგების, „კელიების“ ორგანიზებით, ზედამხედველობა კომპლექსურ სივრცეს ქმნის: ერთდროულად, არქიტექტურულს, ფუნქციონალურსა და იერარქიულს; სივრცეს, რომელიც ფიქსირებულ განლაგებასა და გადაადგილებას განაპირობებს.



ზედამხედველობის მეთოდები წრფივ, ისტორიულ დროს აღმოაჩენენ, რომლის მონაკვეთები ერთმანეთს ებმიან და რომელიც მყარი, საბოლოო წერტილისკენ მიისწრაფვის. ერთი სიტყვით, ეს „ევოლუციის“ დროა. მაგრამ ამ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ტექნიკებთან ერთად აღმოჩნდება სერიულ-ციკლური, კუმულაციური ტიპის დროც: ევოლუციის გახსნილობის, როგორც რაღაცა „პროგრესის“ დრო.

ზედამხედველობის ტექნიკები ინდივიდუალურ სერიებს აღმოაჩენენ: წარმოშობას, „შესაქმეს,“ როგორც ევოლუციის სარკმელს. ინდივიდის წარმოშობა და საზოგადოებრივი პროგრსი - XVIII საუკუნის ეს ორი უდიდესი აღმოჩენა, შეიძლება ძლაუფლების ახალ მეთოდებსაც მივაკუთვნოთ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დროის მართვის საშუალებებს. ამისათვის დროს სარგებლიანობის თვისებას ანიჭებენ: მას ანაწევრებენ ნაჭრებად და სერიებად, ასინთეზირებენ და დააგროვებენ. ძალაუფლების მაკრო- და მიკროფიზიკამ ისტორიის გამოგონება გახადა შესაძლებელი (რაც დიდი ხანია უკვე აღარავის სჭირდებოდა).

აქედან მოყოლებული, დისციპლინა არა უბრალოდ სხეულთა განაწილების ხელოვნება, მათგან გამოსული დროის მოხელთება და დაგროვება, არამედ ეფექტური მანქანა-მექანიზმის აშენების მიზნით ძალთა შეკრების ხელოვნებაა. მარტომყოფი სხეული - ელემენტი ხდება, რომელიც შეიძლება სადმე განათავსო, მოძრაობაში მოიყვანო და სხვა ელემენტებთან გააერთიანო. მისი მთავარი განმსაზღვრელი ცვლადი არის უკვე არა ქველობა და ძალა, არამედ დაკავებული ადგილი, მონაჭერი, რომელსაც თავისი თავითვე ფარავს, სისწორე და და საიმედო განლაგება. ჯარისკაცი - უპირველეს ყოვლისა მოძრავი სივრცის ფრაგმენტია და მხოლოდ ამის შემდეგ ვაჟკაცი და ქველი.

მექანიზმის შემადგენელ ნაწილებში შედიან განსხვავებული ქრონოლოგიური თანამიმდევრობები, რომლებსაც დისციპლინა ერთად თავს უყრის რთული დროის შესაქმნელად. თითოეულმა თავისი დრო სხვებს უნდა შეუწყოს იმგვარად, რომ თითოეულისაგან მაქსიმალური ძალა გამოწუროს, მათმა კომბინაციამ კი ოპტიმალური შედეგი მოგვცეს.

გულმოდგინედ გაანგარიშებული ძალების შეერთება ბრძანებების მკაფიო სისტემას მოითხოვს. დისციპლინირებული ინდივიდის ყოველი ქმედება ბრძანებებით უნდა იცვალოს და განმტკიცდეს. ამ ბრძანებების ეფექტურობა კი მათი ხანმოკლეობითა და სიცხადით განისაზღვრება.

ერთი სიტყვით, დისციპლინა კონტროლირებადი სხეულებიდან ინდივიდუალობის ოთხ ტიპს ქმნის, უფრო სწორედ რაღაცა ინდივიდუალობას, რომელსაც ოთხი მახასიათებელი აქვს: ის უჯრედული (სივრცული განაწილების თამაშში), შეზღუდული (კოდირებული მოქმედება), გენეტიკური (დაჯამებული დრო) და კომბინირებულია (ძალთა შეკრება).

ამის მისაღწევად, ზედამხედველობა ოთხ ძირითად მეთოდს იყენებს: ადგენს ცხრილებს, წინასწარ გაწერს მოძრაობებს, აიძულებს ვარჯიშს და ბოლოს, ძალთა შესაკრებად ტაქტიკას იყენებს.

დისციპლინირებული ძალაუფლების წარმატება, ეჭვგარეშეა, ისეთი მარტივი პროცედურებით აიხსნება როგორიცაა: იერარქიული ზედამხედველობა, მანორმალიზებელი სანქციები და მათი შეერთება სპეციფიკურ პროცედურასთან, გამოცდასთან.

კლასიციზმის ხანაში იქმნება ხლახთა „ობსერვატორიები“, რომლებისთვისაც მეცნიერების ისტორიკოსებმა კეთილი სიტყვა ვერ გაიმეტეს. ლინზების, სინათლის კონის, ტელესკოპის დიდებული ტექნოლოგიებთან ერთად, რომლებიც ახალ ფიზიკასა და კოსმოლოგიას დაედო საფუძვლად, არსებობდნენ ზედმხედველობის, მზერის მრავალრიცხოვანი და ურთიერთგადამკვეთი ტექნიკები, რომელთა მოვალეობა დანახვა იყო, თანაც ისეთი, რომ მის თვალს არაფერი გამოჰპარვოდა. დამორჩილებისა და ექსპლოატაციის ტექნიკების გამოყენებამ, ხილვადობისა და სინათლის უცნობმა ხელოვნებამ ნელ-ნელა შეამზადა ახალი ცოდნა ადამიანზე.

„ობსერვატორიის“ ზემოხსენებული მოდელები სამხედრო ბანაკის თითქმის იდეალურ მოდელს ემყარება. ის თავად მოკვდავსა და ხელოვნურ ქალაქს წარმოადგენს, რომელიც სურვილისამებრ შეიძლება თითქმის უსასრულოდ ავაშენოთ და გადავაკეთოთ. ის ძალაუფლების უმაღლესი სფეროა, რომელიც (რამდენადაც შეიარაღებულ ადამიანებზე ზემოქმედებს), დიდი ძალის პატრონი უნდა იყოს, ამასთან, დიდად თავშეკავებასაც უნდა ავლენდეს და დიდი ეფექტურობით და პრევენციული ფასეულობით უნდა გამოირჩეოდეს.

სრულყოფილ ბანაკში მთელი ძალაუფლება სწორედ რომ ზუსტი ზედამხედველობის გზით ხორციელდება. თითოეული შეხედვა არის ნასხლეტი ძალაუფლების გლობალური მოქმედებიდან. ზუსტად განისაზღვრა გასასვლელების გეომეტრია, კარვების რაოდენობა და განლაგება, მათში შესასვლელების ორიენტაცია, სიგანესა და

სიგრძეზე განლაგებული რიგების განლაგება. ხდება ერთმანეთის მაკონტროლებელ მზერათა ნახაზების გაკეთება.

ერთი სიტყვით, ახლა უკვე, არქიტექტურა მოწოდებულია, ინდივიდის გარდამქნელი ინსტრუმენტი იყოს: იმოქმედოს მათზე ვინც მასში იმყოფება, მართოს მათი ქცევები, მათამდე მიიყვანოს ძალაუფლების გამოვლინება, აქციოს ისინი შემეცნებისადმი საწვდომად და შეცვალოს კიდეც. ქვებს შესწევთ იმისი ძალა, რომ ხალხი გამგონე და მცოდნე გახადოს.

პატიმრობის და შეზღუდვის ძველი უბრალო სქემა (სქელი კედლები, მძიმე კარიბჭე, რთული შესასვლელ-გამოსასვლელი) სარკმელებისა და კარებების, მიყრუებული და ცარიელი სივრცეების, გასასვლელების და სამეთვალყურეო ადგილების გათვლით იცვლება. საავადმყოფოების შენობას თანდათან, როგორც სამედინო ზემოქმედების მქონე ინსტრუმენტს, ისე აგებენ, რომ მან ავადმყოფებზე კარგი დაკვირვება უზრუნველყოს; აქედან გამომდინარე კი მკურნალობის საუკეთესო მეთოდის არჩევაც. შენობების ფორმამ, რომელმაც ავადმყოფების სათანადო დონეზე გათავსება უნდა უზრუნველყოს, გადამდები დაავადებების გავრცელებას დაბრკოლებები უნდა შეუქმნას.

სრულყოფილმა დისციპლინარულმა აპარატმა „ერთი მზერის სროლით“ ყველაფრის დანახვა უნდა შეძლოს. მისი ცენტრალური წერტილი ყოვლისმომცველი სინათლის წყარო უნდა იყოს, ასევე უნდა იყოს იმ ყველაფრის დაახლოების ადგილი, რაც კი შემეცნებადია: სრულყოფილი თვალი, რომელსაც ვერაფერი დაუსხლტება და ცენტრი, რომელიც ყველა სხვა თვალის მზერას მიიპყრობს.

თუმცა ზედამხედველობა ინდივიდებზე დგას. ის ქსელურ ურთიერთობების მიხედვით - ზემოდან ქვემოთ მოქმედებს, მაგრამ ასევე, რაღაცა დონემდე მოქმედებს ქვემოდან ზემოთაც და ჰორიზონტალურადაც. ეს ქსელი მთელს ანარჩუნებს, აკავებს და განჭოლავს ძალაუფლების გამოვლინებებით; ზედამხედველები, თავადაც გამუდმებული ზედამხედველობის ქვეშ არიან. დისციპლინის იერარქიზირებულ ზედამხედველობაში, ძალაუფლება ნივთი არ არის, რომელსაც შეიძლება დაეუფლო და არც თვისების მსგავსად გადაეცემა; ის მექანიზმივით მოქმედებს. თუმც პირამიდული ორგანიზაცია არსებითად „მეთაურის“ არსებობას გულისხმობს, მთლიანობაში, ხელისუფლებას სწორედ რომ ეს მექანიზმი აწარმოებს, ინდივიდებს კი უწყვეტ და მუდმივ ველში განათავსებს.

ზედამხედველობის იერარქიის და მანორმალიზებელი სანქციების ერთმანეთან შეხამებას გამოცდა ახდენს. გამოცდა - ეს მაკლასიფიცირებელი, დამსჯელი და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალების მიმცემი მანორმალიზებელი მზერა და ზედამხედვლობაა. ის ადამიანებს ხილვადებს ხდის, რის წყალობითაც მათი დიფერენცირება და დასჯა შეიძლება.

ამიტომ ყველა დისციპლინარულ მექანიზმში, გამოცდა სრულქმნილი რიტუალია. მასში ძალაუფლების ცერემონია და გამოცდილების ფორმა, ძალის გამოყენება და ჭეშმარიტების დადგენა ერთდება. გამოცდის დისციპლინარული პროცედურების ცენტრში მორჩილების დემონსტრირება ხდება; დამორჩილებულები ობიექტებად აღიქმებიან. ძალაუფლებრივი დამოკიდებულებების ურთიერთვალდებულება და მათი ცოდნასთან კავშირი, გამოცდაში მთელ თავის ბრწყინვალე იერს იძენს.

დისციპლინარულ რეჟიმში, ინდივიდუალიზაცია დაღმავალი წესით ხდება: რაც უფრო ავტონომიური და ფუნქციური ხდება ძალაუფლება, უფრო მეტ ინდივიდუალიზაციას განიცდიან ისინი, ვისზედაც ის მიემართება. შუა საუკუნეების შემდეგ, ეს ზედამხედველობის და არა ცერემონიის გზით ხდება; დაკვირვების და არა მოსახსენიებელი მატიანეს მეშვეობით; ნორმებზე დამყარებული შედარებითი გაზომვის და არა წინაპართაგან მომდინარე გენეალოგიების გზით; „გადაცდომების“ და არა გმირობების მეშვეობით. დისციპლინურ სისტემებში ზრდასრულზე უკეთ, ბავშვი ინდივიდუალიზირდება, ავადმყოფი ჯანმრთელს ასწრებს, შეშლილი და დამნაშავე - ნორმალურსა და კანონმორჩილს.

ინდივიდი, საზოგადოებაზე „იდეოლოგიური“ წარმოდგენის გამოგონილი ატომია. მაგრამ ის ნამდვილიც არის, რადგანც შეიქმნა ძალაუფლების სპეციფიკური ტექნოლოგიის მიერ, რომელსაც მე „დისციპლინა“ ვუწოდე. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ძალაუფლების გამოვლენის უარყოფით ტერმინებში აღწერა: „ის ზღუდეა, გამთიშველია, რაღაცას ნიღბავს, გვიმალავს, წნეხისა და ცენზურის ქვეშ ატარებს“. სიანამდვილეში, ძალაუფლება აწარმოებს. ის რეალობის მწარმოებელია. ის ჭეშმარიტების რიტუალებსა და ობიექტების ზონებს აწარმოებს. როგორც ინდივიდი, ასევე ის ცოდნა, რომელიც ამ ინდივიდის შესახებ შეიძლება მივიღოთ, მისსავე პროდუქციას მიეკუთვნება

ციხე

სხეულებზე გაწეული გულმოდგინე შრომის მეშვეობით, აპარატის ზოგადი ფორმა მოწოდებულია, რომ ინდივიდები დამჯერად და გამოსაყენებლად აქციოს; ციხის ინსტიტუტი ამ აპარატმა მოხაზა ჯერ კიდევ მანამ, სანამ კანონი მას დასჯის ძირითად საშუალებად განსაზღვრავდა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე დასჯის ფორმა ნამდვილად არსებობდა საპყრობილის სახით და ეს სიახლე იყო. თუმცა ეს, დისციპლინური მექანიზმების ისტორიაში უმნიშვნლოვანესი ეტაპია, რომელმაც ახალი კლასის ძალაუფლება განავითარა - მომენტი, როდესაც ეს მექანზმები სასამართლო ინსტიტუტებს დაეუფლნენ.

ციხის „სიცხადე“, უპირვლეს ყოვლისა იმას ემყარება, რომ ის „თავისუფლების აღკვეთის“ უბრალო ფორმაა. თავისუფლების აღკვეთა ყველას ერთნაირად ესმის; ჯარიმისაგან განსხვავებით, ის გამათანაბრებელი სასჯელია. ციხე გამოხატავს იმ აზრს, რომ სამართალდარღვევა ზიანს აყენებს არა მხოლოდ მსხვერპლს, არამედ მთლიანად საზოგადოებასაც. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, სისხლის სამართლის დანაშაულის ეკონომიკურ და მორალურ სიცხადეზე, რაც საშუალებას გვაძლევს სასჯელი გამოვითვალოთ დღეებში, თვეებსა და წლებში; ამასთან, გვადგენინებს თვისებრივ მიმართებას დანაშაულის ჩადენის ბუნებასა და სასჯელის ხანგრძლივობას შორის.

ციხე არ ყოფილა ოდითგანვე თავისუფლების აღმკვეთი, რასაც მოგვიანებით გამოსწორების ტექნიკური ფუნქცია შეემატა. თავდაპირველად, ის იყო „კანონიერი პატიმრობის“ ფორმა, რომელიც დამატებით გამოსასწორებლის ტვირთს ზიდავდა, ანდა ინდივიდების შემცვლელი წამოწყება, რომელიც სასამართლო სისტემაში თავისუფლების აღკვეთის წყალობით შეიძლება ამოქმედდეს. ერთი სიტყვით, XIX საუკუნის დასაწყისიდან პატიმრობა, ერთსა და იმავე დროს, თავისუფლების აღკვეთასაც და ინდივიდების ტექნიკურ გარდაქმნასაც ნიშნავს.

მოდი რამდენიმე ფაქტი გავიხსენოთ. 1808 და 1810 წლების კოდექსებში დაპატიმრება არასოდეს ერევათ თავისუფლების აღკვეთაში. ის მიზანმიმართულ და დიფერენცირებულ მექანიზმს წარმოადგენს. დიფერენცირებულია, რამდენადაც პატიმრობას განსხვავებული ფორმა უნდა გააჩნდეს, რაც იმაზეა დამოკიდებული, დატუსაღებული განსასჯელია თუ უბრალოდ ეჭვმიტანილი, წვრილმანი სამართალდარღვევა აქვს ჩადენილი თუ დამნაშავეა. ციხის განსხვავებული ფორმები: საგამომძიებლო იზოლატორი, გამოსასწორებელი ციხე, ცენტრალური საპყრობილე, -

მეტნაკლებად შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ამ განსხვავებებთან და განსაზღვროს სასჯელი, რომელიც გრადაციას უნდა განიცდიდეს ძალისა და მიზნების მიხედვით.

ციხე ყოვლთვის აქტიური ველის ნაწილი იყი, სადაც ჭარბად მრავლდებოდა გადაკეთების პროექტები, ექსპერიმენტები, თეორიული დისკურსები, პირადი დამოწმება და გამოძიება. ციხე პასუხისმგებელი იყო ინდივიდის ცხოვრების ყველა სფროზე, შრომის სწავლაზე, ფიზიკურ წვრთნაზე, ყოველდღიურ ქცევაზე, მორალურ სახესა და მიდრეკილებებზე. ციხე ბევრად უფრო ყოველმხრივ დისციპლინარულია, ვიდრე სკოლა, ფაბრიკა და არმია, რომელთაც განსაზღვრული სპეციალიზაცია აქვთ. გარდა ამისა, ციხეს არც გარეთა მხარეები არა აქვს და არც ლაკუნები; არ შეიძლება მისი შეჩერება, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა მისი ამოცანა ბოლომდე შესრულებულია; ინდივიდებზე მისი ზემოქმედება უწყვეტად უნდა წარმოებდეს: ეს დაუსრულებელი დისციპლინაა. ბოლოს და ბოლოს, ციხე უზრუნველყოფს, პრატიკულად, სრული ძალაუფლებით იმოქმედოს დაპატიმრებულებზე. ციხეს ზეწოლისა და დასჯის საკუთარი შიდა მექანიზმები აქვს - დესპოტური ძალაუფლება. ის ყველა პროცედურის უმაღლეს ინტენსივობაზე დაიყვანება, რომლის სხვა დისციპლინარულ მექანიზმებში მოქმედების მეთოდი - მაიძულებელი ტოტალური აღზრდაა.

ციხე შესაძლებელს ხდის სასჯელის გამოთვლას, გრადაციას, რაც დამოკიდებულია გარემობებზე და დასჯას მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო სამაგიეროს ფორმას ანიჭებს. თუმცა სასჯელის ხანგრძლივობას არავითარი გამომასწორებელი ფასი არ ექნება, თუ ის ერთხელ და სამუდამოდ განაჩენით იქნება დადგენილი. სასჯელის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს კანონდარღვევის „საცვლელი ღირებულების“ საზომი; ის, დამოკიდებული უნდა იყოს პატიმრის „სასარგებლო“ ცვლილებაზე, სანამ პატიმრობის ვადა არ ამოწურულა. იზომება არა ზოგადად დრო, არამედ საბოლოო მიზანთან შესაბამისობაში მყოფი დრო, უფრო ოპერაცია, ვიდრე საზღაური. სასჯელის ოპტიმალური ხანგრძლივობა უნდა გამოითვალოს არა მხოლოდ დანაშაულის სახესა და მის გარემოებებზე, არამედ პატიმრის ქცევაზე დაყრდნობითაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასჯა ინდივიდუალური უნდა იყოს და განისაზღვროს არა მარტო კანონდამრღვევის ინდივიდუალობით, არამედ დასჯილის, როგორც კონტროლირებული, გარდაქმნის ობიექტის ინდივიდუალური მახასასიათებლებითაც.

ციხე, როგორც სასჯელის აღსრულების, ასევე განსასჯელებზე დაკვირვების წარმოების ადგილიცაა. დაკვირვება ორმაგი მნიშვნელობით: თითოეული პატიმრის

ქცევის, მიდრეკილებების შეცნობისა და ზედამხედველობის ქვეშ მოქცევის მიზნით. ციხეები პატიმრებზე კლინიკური შემეცნების ფორმირების ადგილად უნდა განვიხილოთ. პანოპტიკონის თემამ - ერთდროულად ზედამხედველობამ და დაკვირვებამ, უსაფრთხოებამ და ცოდნამ, ინდივიდუალიზაციამ და შეჯამებამ, იზოლაციამ და გამჭვირვალეობამ ციხეში პრაქტიკული განხორციელების მიხედვით პრივილეგირებული ადგილი დაიკავა. თუმცა პანოპტიკურმა პროცედურებმა, როგორც ძალაუფლების აღსრულების კონკრეტულმა ფორმებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს, სულ მცირე მის გაბნეულ ფორმებში მაინც. სრული სახით ბენტამის უტოპიამ ხორცი გამოსასწორებელ დაწესებულებებში შეისხა. 1830-1840 წლებში პანოპტიკონი ციხის პროექტების უმრავლესობისთვის არქიტექტურულ პროგრამად იქცა. მან ქვაში გამოსახა დისციპლინის გონიერება, არქიტექტურა გამჭვირვალე გახადა ძალაუფლების აღსრულებისათვის, შეაცვლევინა ძალები ანდა ძალადობრივი იძულებები ტოტალური და დაუმარცხებელი ზედამხედველობის რბილი ეფექტურობით შეცვალა, რაც კოდექსების ჰუმანიზაციის და ახალი პენიტენციალური სისტემის შესაბამისად სივრცეს აწესრიგებს.

პანოპტიკონის ამოცანაა შექმნას ციხის მანქანა გამჭოლად მაყურებელი კამერით, სადაც პატიმარი „ბერძენი ფილოსოფოსის შუშის სახლში“ აღმოჩნდება და ცენტრალური პუნქტით, საიდანაც მოუცილებელი მზერა პატიმრების და ასევე, პერსონალის გაკონტროლებას შეძლებს.

ციხეებში უნდა ვხედავდეთ სინქრონულ სისტემას, რომელიც ისტორიულად, ზედნადებად დააშენდება თავისუფლების აღკვეთას, სისტემას, რომელიც ოთხ ელემენტს მოიცავს: უზენაესი ხელისუფლების ელემენტს (ციხის დისციპლინარული დამატება), დამხმარე შემეცნების ელემენტს (გარკვეული ობიექტურობის, ტექნიკის, პენიტენციალური „რაციონალობის“ წარმოება); უკუქმედების ელემენტი (დამნაშავეობის ფაქტობრივი მატება ან გადახალისება, რის აღკვეთაზეცაა მიმართული ციხე); და ბოლოს, უტოპიური გაორმაგების ელემენტი (იმ „რეფორმების“ განმეორება, რომლებიც მათი „იდეალისტურობის“ მიუხედავად იზომორფულები არიან ციხის დისციპლინურ ფუნქციონირებასთან ერთად). ზუსტად ეს ოთხი რთული მთლიანობა ქმნის „კარცერულ სისტემას“, რომელიც ციხის უბრალო ინსტიტუტისაგან მისი კედლებით, პერსონალით, წესებით და ძალადობით განსხვავდება. კარცერული სისტემა ერთ ფორმაში აერთიანებს დისკურსებსა და არქიტექტურას, მაიძულებელ წესებსა და სასწავლო შემოთავაზებებს, რეალურ სოციალურ შედეგებსა და დაუძლეველ უტოპიებს, დელიკვენტების გამოსწორების პროგრამებსა და დელიკვენტურობის განმამტკიცებელ მექანიზმებს.

ეჭვგარეშეა, რომ დელიკვენტურობა უკანონობის ერთ-ერთი ფორმაა. დელიკვენტურობას უკანონობაში აქვს ფესვები გადგმული და ამავდროულად, თავადაც არაკანონიერია. კარცერულმა სისტემამ ის დაიპყრო, დაანაწევრა, იზოლაციაში მოაქცია, თავადვე ასაზრდოვა, ორგანიზება გაუწია, განსაზღვრულ გარემოში გამოკეტა და სხვა უკანონობასთან მიმართებაში მას ინსტრუმენტული როლი მიანიჭა. ერთი სიტყვით, იურიდიულ ოპოზიციაში ერთმანეთს უპირისპირდებიან კანონიერება და კანონსაწინააღმდეგო ქმედება, სტრატეგიულ ოპოზიციაში კი - უკანონობა და დელიკვენტურობა.

იმისი მტკიცება, რომ ციხემ ვერ შეძლო დანაშაულის რაოდენობის შემცირება, ნება მიბოძეთ, შემდეგი ჰიპოთეზით ჩავანაცვლო: ციხემ სრულ წარმატებას მიაღწია დელიკვენტურობის წარმოებაში, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად ნაკლები საფრთხის შემცველი და ზოგჯერ კი უკანონობის სასარგებლო ფორმაცაა; კანონისა და უკანონობის გარშემო ატეხილ ბრძოლაში ციხის წარმატება იმაში მდგომარეობს, რომ „დელიკვენტურობას“ ის ადგენს და ის აწესებს. კარცერული სისტემა კანონდამრღვევს „დელიკვენტად“ აქცევს. პროცესი, რომელიც დელიკვენტურობას ობიექტად აქცევს, ერთ მთლიანობას შეადგენს პოლიტიკურ ოპერაციასთან, რომელიც უკანონობას გამოთიშავს და გამოყოფს მას დელიკვენტურობისაგან. ციხე, ამ ორი მექანიზმის გამართიანებელი სახსარია; ის მათ საშუალებას აძლევს ერთმანეთი განუწყვეტლივ გააძლიერონ, კანონის დარღვევის უკან მდგომ დელიკვენტურობის ობიექტივიზირება მოახდინოს. ციხის წარმატება იმდენად დიდია, რომ საუკუნე-ნახევრიანი „მარცხების“ შემდეგაც კი არსებობას განაგრძობს.

დელიკვენტურობის წარმოება და სადამსჯელო აპარატის მიერ მისი დაპყრობა სწორად უნდა გვესმოდეს: არა როგორც ერთხელ და სამუდამოდ მიღწეული რეზულტატები, არამედ როგორც ტექნიკები, რომლებიც იმაზე დამოკიდებულების მიხედვით იცვლებიან, რამდენადაც თავის მიზანს შეესაბამებიან. დელიკვენტურობასა და სხვა უკანონობას შორის მომხდარი განხეთქილება ყველაზე მკაფიოდ ციხის სისტემის მეშვეობით ვლინდება. თუმცა ეს ყველაფერი მუდამ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ბრძოლას სტეხდა და საპასუხო ქმედებებს იწვევდა. დაბალი ფენის მოსახლეობასა და მათგან გამოსულ, მათთან კავშირში მყოფ, დელიკვენტებს შორის გამომყოფი ზღუდის აღმართვა, რთული ამოცანა იყო, მით უფრო კი ქალაქის პირობებში.

სისხლის სამართლის, იუსტიციის სფეროში, ციხემ სადამსჯელო პროცედურები პენიტენციალურ ტექნიკებად გარდაქმნა. კარცერულმა არქიპელაგმა ეს ტექნიკები ციხის ინსტიტუტიდან საზოგადოების სხეულზე გადაიტანა და რამოდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო:

1. ეს უზარმაზარი მექანიზმი ადგენს ნელ, უწყვეტსა და შეუმჩნეველ გრადაციას, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივ გადასვლას უწესრიგობიდან სამართალდარღვევისკენ და უკან - კანონდარღვევიდან წესებისკენ, საშუალოსკენ, მოთხოვნილებისკენ, ნორმებისკენ გადახვევისაკენ. ინსტიტუციონალიზირებული, სპეციალიზებული და კომპეტენტური ძალაუფლებრივი ორგანოების უწყვეტი გრადაცია კონსტანტაციისა და შეფასებების მეშვეობით იერარქიას აწესებს; დიფერენცირებას, სანქცირებას უკეთებენ, სჯიან და თანდათანობით გადაცდომების წინააღმდეგ მიმართული სანქციებიდან დანაშაულის დასჯაზე გადადიან. „კარცერი“ თავისი მრავალრიცხოვანი, დიფუზური ანდა კომპაქტური ფორმებით, კონტროლის ინსტიტუტებით ანდა შეზღუდვებით სასჯელის თვისებრივ და რაოდენობრივ გადაცემას განაპირობებს; რიგში აწყობენ ანდა მცირე და დიდი სასჯელებით, შემწყალებელი და სასტიკი მოპყრობის ფორმით რთულ სურათს ქმნიან. მცირე დისციპლინა ამგვარად იქადნის: „კატორღაში ამოგძვრება სული,“ - ხოლო ყველაზე მკაცრი საპყრობილე განსასჯელს სამუდამო პატიმრობით ემუქრება: „მე შევამჩნევ შენს ყველა გადაცდომას.“ სადამსჯელო ფუნქციების საყოველთაობა, რასაც XVIII საუკუნე, „იდეოლოგიების“ მიერ შემუშავებულ ნიშნებისა და წარმოდგენების ტექნოლოგიებს ეძებდა, ახლა გავრცელებას, მატერიალურ, რთულ, გაბნეულ თუმცა კარცერული მოწყობის განსხვავებულ, დაცემენტებულ არმატურებს ეყრდნობა. შედეგად, განმსაზღვრელი ზოგადი აღმნიშვნელები აერთიანებენ წვრილმან უმართებულობებსა და უფრო მძიმე დანაშაულებს: ეს უკვე აღარც საზოგადოებრივი ინტერესების ხელყოფაა და აღარც ბრალეულობა, ეს გადაცდომა და ანომალიაა. სწორედ ეს არ აძლევს მოსვენებას სკოლას, სასამართლოს, საგიჟეთსა და ციხეს. მნიშვნელობათა სიბრტყეზე, ის ხდის ზოგადსაყოველთაოს. სუვერენის მტრის შეცვლით, ხალხის მტერი ინდივიდუალურ დევიანტად იქცევა, რომელიც თავის თავში უწესრიგობის, დამნაშავეობის და შეშლილობის ნაირფეროვან საფრთხეს ატარებს. სადამსჯელო და არანორმალურობის რიგებს კარცერული ქსელი მრავალმხრივი კავშირებით კრავს.

2. კარცერი მსხვილი „დელიკვენტების“ შემოკრების საშუალებას იძლევა. კლასიციზმის ეპოქაში, ეზოებში ან საზოგადოებრივ ღრიჭოებში არსებობდა მეამბოხე, მომთმენი და საშიში უკანონობის მხარე, ანდა სულ მცირე, ის მაინც, რაც

ხელიდან უსხლტებოდა ძალაუფლებას; განუსაზღვრელი სივრცე, დამნაშავეობის თავშესაფარი და მისივე ფორმირების ადგილი. იქ, შემთხვევისა და განგების ნებით ერთმანეთს აწყდებოდნენ უბედურება, უმუშევრობა, უდანაშაულობა, ცბიერება, ბრძოლა ძალაუფლების მქონეებთან, მოვალეობების შესრულებაზე უარი, კანონის ფეხქვეშ გათელვა და ორგანიზებული დანაშაული. დისციპლინარული განსხვავებებისა და განტოტებების მეშვეობით, მეცხრამეტე საუკუნემ ის ნათელი გზები გაკვალა, რომლებიც არსებული სისტემის ფარგლებში, ერთი და იმავე მექანიზმების გზით ამყნობენ მორჩილებას და აწარმოებენ დელიკვენტურობას. თავისებური დისციპლინარული, უწყვეტი და მაიძულებელი „ფორმაცია“ შედგა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს პედაგოგიურ გეგმასა და პროფესიონალურ ქსელთან. მან წინასწარ მოხაზა სასიცოცხლო გზები: კეთილისმყოფელი ორგანიზაციები და საზოგადოებები, ოსტატთან ცხოვრებით ხელობის სწავლა, კოლონიები, დისციპლინარული ბატალიონები, ციხეები, საავადმყოფოები და თავშესაფრები. კარცერულ ქსელს არ გააჩნია გარეთა მხარე. ის ყველფერს აგროვებს, იმასაც კი რაც სჯის. მას იმის დაკარგვაც არ უნდა, რაც არაფრად არგია. პანოპტიკურ საზოგადოებაში, მის ყოვლისგადამჯაჭველ არმატურაში, რომელიც საპყრობილეს წარმოადგენს, დელიკვენტი არ თავსდება კანონს მიღმა. ის თავიდანვე კანონშია, კანონის გულისგულში ან სულ მცირე იმ მექანიზმების ცენტრში მაინც, რომლებიც დისციპლინიდან კანონზე, გადაცდომებიდან სამართალდარღვევაზე შეუმჩნეველ გადასვლას განაპირობებენ. თუმცა მართალია, რომ ციხე დელიკვანტურობას სჯის, ეს უკანასკნელი ძირითადად მაინც საპყრობილეში, მის მიერვეა შექმნილი. ციხე, თავის მხრივ, პატიმრობას უკვდავყოფს. ციხე ბუნებრივი შედეგია, ის მხოლოდ იერარქიის უმაღლესი საფეხურია, დელიკვენტი - ციხის ინსტიტუტის შედეგი.

3. თუმცა, კარცერული სისტემის ყველაზე სერიოზული რეზულტატი და მისი გავრცელება კანონიერი პატიმრობის საზღვრებიდან შორსაა. ის ახერხებს იმ ყველაფრის გათვლას, რაც კი სასჯელის აღსრულებისას გადამეტებად მიიჩნევა. აკი, ის ორ რეგისტრში მუშაობს, რომელშიაც განიტოტება თავად: მართლმსაჯულების კანონიერ და დისციპლინის კანონისმიღმა მყოფ რეგისტრში. სინამდვილეში, კარცერული სისტემის უწყვეტი კავშირი კანონთან და განაჩენთან, დისციპლინარული მექანიზმების განსაზღვრულ, სამართლებრივ მხარდაჭერას განაპირობებს. დისციპლინური ინსტიტუტების დადგენა აწარმოებს კანონს, დასჯა განაჩენსა და სასჯელს ბაძავს, ზედამხედველობა პოლიციურ მოდელს იმეორებს, ხოლო ამ ყველა დაწესებულებაზე აღიმართება ციხე, რომელიც მის წმინდა ფორმაში ყოფნისას მათ თავისებურ სახელმწიფო დახმარებას აღმოუჩენს. კარცერის უწყვეტობა და ციხის როგორც ყალიბის გავრცელება ლეგალიზებულს, ან სულ მცირე კანონიერს

მაინც ხდის დისციპლინურ ძალაუფლებას, რომელიც ერიდება მის გადამეტებას ან ბოროტად გამოყენებას.

დისციპლინური აპარატების და მათსავე მიერ ნაგულისხმები „ჩანართების“ ნატიფ, თანდათანობით გრადაციაში ციხე სხვა სახის ძალაუფლების პარპაშს სრულებითაც არ წარმოადგენს, ის მხოლოდ დამატებითი ელემენტია იმ მექანიზმის ინტენსივობისა, რომელიც დაწყებული დასჯის პირველი პრეცენდენტიდან მოყოლებული მუშაობას განაგრძობს. განსხვავება ახალ „გამოსასწორებელ“ დაწესებულებებსა და ციხეს შორის ძნელად თუ იგრძნობა. ამიერიდან აღარაფერი გვახსენებს ძველად არსებულ სუვერენის ძალაუფლების ზღვარგადასულობას, რომელიც თავის ძალას დასჯილთა სხეულებზე ავლენდა. კარცერული კონტინიუმის წყალობით განაჩენის გამომტანი ინსტანციები განჭოლავენ ყველა სხვა - მაკონტროლებელ, გარდამქმნელ, გამოსასწორებელ და გამაუმჯობესებელ ინსტანციებს. დამსჯელი ძალაუფლება თავისი ფუნქციის მიხედვით, არსებითად არ განსხვავდება მკურნალობის ან აღზრდის ძალაუფლებისაგან. ის მათგან ღებულობს ქვემოდან მხარდაჭერის ნაკლებად მნიშვნელოვან ამოცანებს, რაც მას ნაკლებად მნიშვნელოვანს სულაც არ ხდის, რადგან ამით ძალაუფლების მეთოდისა და რაციონალურობის სანდოობას ამოწმებს. კარცერული, დასჯის კანონიერ ძალაუფლების ნატურალიზაციას იმგვარადვე ახდენს, როგორც ეს ტექნიკური ძალაუფლების „ლეგალიზებისას“ ხდება.

4. ძალაუფლების ახალი ეკონომიის წყალობით, კარცერულმა სისტემამ შესაძლებელი გახადა „კანონის“ ახალი ფორმების: კანონიერებისა და ბუნების ნარევის, ნორმების წარმოშობა. ამას მთელი რიგი შედეგები მოყვა: სასამართლო ძალაუფლების ან სულ მცირე მისი ფუნქციონირების შიდა განშრევება; მოსამართლეთა სულ უფრო და უფრო გართულებული სამუშაო; გაზომვის, შეფასების, დიაგნოსტირების, შერაცხადად ან შეურაცხადად ცნობის მოსამართლეთა დაუოკებელი სურვილი; პრეტენზიები განკურნებასა და ხელახლა აღზრდაზე. მოსამართლეთა უზარმაზარი

„ლტოლვა მედიცინისაკენ“ იმ მთავარ ფაქტს გამოხატავს, რომ მათ მიერ განხორციელებულმა ძალაუფლებამ „დაკარგა ბუნებრივი შემადგენლობა,“ რომ განსაზღვრულ დონეზე ის კანონებით იმართება და რომ სხვა, უფრო ფუნდამეტურ დონეზე ის როგორც ნორმატიული ძალაუფლება ისე მოქმედებს; ისინი ძალაუფლების ეკონომიას ასხამენ ხორცს და არა სინდისის ქენჯნასა და ჰუმანიზმს. კარცერულ მექანიზმებზე მდგომი დისციპლინური წყობების მხარდამჭერი ყველგანმყოფობით, მანორმალიზებელი ძალაუფლება ჩვენი საზოგადოების ძირითადი ფუნქცია ხდება. ნორმირების მსაჯულები ყველა მხრიდან გვყვანან გარშემორტყმულები. ჩვენ ვცხოვრობთ მასწავლებელ-მსაჯულის, ექიმ-მსაჯულის, აღმზრდელ-მსაჯულისა და „სციალურ მუშაკ“-მსაჯულის საზოგადოებაში; სწორედ მათ ეფუძნება ნორმატიულობის ყველგანმყოფი ბატონობა; ყოველი ინდივიდი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, მას უქვემდებარებს თავის სხეულს, ჟესტებს, ქცევებს, უნარებსა და წარმატებებს. კარცერული ქსელი მის კომპაქტურ და გაბნეულ ფორმებში ჩაშენებულ, განაწილების, დაკვირვებისა და ზედამხედველობის სისტემებთან ერთად წარმოდგენს თანამედროვე საზოგადოების საყრდენს ძალაუფლების ნორმალიზებისათვის.

5. საზოგადოების კარცერული ქსოვილი, როგორც სხეულის რეალურ გათავისებას, ასევე მასზე გამუდმებულ თვალთვალსაც განაპირობებს. თავისი შინაგანი არსით, ის წარმოადგენს დასჯის აპარატს, რომელიც ყველაზე სრულყოფილად პასუხობს ძალაუფლების ახალ ეკონომიას; ის არის ცოდნის ფორმირების ინსტრუმენტი, რომელსაც ეს ეკონომია ესაჭიროება. მისი პანოპტიკური ფუნქციონირება ეხმარება მას ამ ორმაგი როლის შესრულებაში. განმტკიცების, განლაგების, ჩანაწერებისა და რეგისტრაციის მეთოდების წყალობით ის დიდი ხნით ერთ-ერთ ყველაზე მარტივ, პრიმიტიულ, უფრო მეტად კი მატერიალურ, მაგრამ ყველაზე აუცილებელ პირობად რჩება გამოცდის განვითარებისა და გავრცელებისათვის, რომელიც ადამიანის ქცევის ობიექტივიზაციას ახდენს. თუ ინკვიზიტორული მართლმსაჯულების ეპოქის შემდგომ „გამომცდელის“ ეპოქაში შევაბიჯეთ, თუ გამოცდის მეთოდმა შეძლო, რომ გავრცელებულიყო მთელ საზოგადოებაზე და გარკვეულწილად ჰუმანიტარულ მეცნიერებებისთვისაც მიეცა დასაბამი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი პატიმრობის განსხვავებული მექანიზმების სიმრავლე და მათი ურთიერთგადაფარვა იყო. მე იმას არ ვამბობ, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები ციხიდან წარმოიშვა. მაგრამ თუ მათ მოახერხეს წარმოქმნილიყვნენ და თავისი ცოდნის სტრუქტურაშივე (episteme) ჩვენთვის ნაცნობი ცვლილებები მოეხდინათ, ეს იმიტომ, რომ ძალაუფლების ახალი და სპეციფიკური მოდალობების თანამონაწილენი იყვნენ: ეს სხეულის განსაზღვული პოლიტიკაა, რომელიც

განსაზღვრული მეთოდით, საშუალებას იძლევა ხალხთა მასები დამჯერად და გამოსადეგად აქციოს. ამგვარი პოლიტიკა განსაზღვრული ცოდნის ძალაუფლებასთან კავშირში ჩართვას მოითხოვდა. მას ობიოქტივაციისა და მორჩილების ნაწილობრივი ურთიერთვალდებულებების ტექნიკა სჭირდებოდა; მან ინივიდუალიზაციის ახალი პროცედურებიც მოიყოლა თან. კარცერული ქსელი ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ისტორიულად შესაძლებელს ხდის. შემეცნებული ადამიანი (რადაც არ უნდა მოვიხსენიებდეთ: სულად, ინივიდუალობად, ცნობიერებად თუ ქცევად) ამ ანალიტიკური დაუფლების, დაკვირვების ბატონობის შედეგ-ობიექტს წარმოადგენს.

6. უეჭველია, ეს ციხის გასაოცარ მდგრადობას ხსნის; გამოგონებას, რომელსაც გაჩენის დღიდან ლანძღავენ. ის რომ სახელმწიფო აპარატის ხელთ არსებული აღკვეთის ან ზეწოლის ინსტრუმენტი ყოფილიყო, უფრო მისაღები შემცვლელის გამოძებნა გაიოლებული იქნებოდა. მაგრამ ძალაუფლების მექანიზმებსა და სტრატეგიებში ფესვის გადგმით, მან შეძლო გარდაქმნის ყოველ მცდელობაზე ინერციის უზარმაზარი ძალით ეპასუხა; არაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ციხის არსებობა აუცილებელია ჩვენი საზოგადოებისათვის; პირიქით, შეიძლება ციხის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ორი პროცესი გამოვყოთ, რომლებსაც მისი ფუნქციონირების გარდაქმნა და გამოყენების შეზღუდვა შეუძლიათ. პირველი მათგანი ამცირებს დელიკვენტურობის სარგებლიანობას; სახელმწიფო და საერთაშორისო მასშტაბის უკანონობის წარმოშობა არაეფექტურობას აშკარას ხდის. მეორე - დისციპლინური ქსელების ზრდა, სრული უფლებით აღჭურვა და სასამართლო ფუქციების მათზე მზარდი გადაცემაა. რამდენადაც მედიცინა, ფსიქოლოგია, „სოციალური სამუშაო“, სახელმწიფო შემწეობა სულ უფრო და უფრო მონაწილეობენ მაკონტროლებელ და დამსჯელ ძალაუფლებაში, სისხლის სამართლის მანქანას შეუძლია სამედიცინო, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური თვისებები შეიძინოს. ნორმალიზაციის ყველა ამ მექანიზმებს შორის, რომელებიც გამოყენებისას სულ უფრო და უფრო მკაცრდებიან, ციხის სპეციფიკა და მასთან დაკავშირებული როლი აზრს კარგავენ.

საჯარო დასჯების, სახრჩობელების, სამარცხვინო ბოძების ქვეყნისაგან დღეს შორს ვიმყოფებით. თუმცა, ჩვენ ასევე შორსა ვართ რეფორმატორთა ოცნებებისგანაც: სადამსჯელო ქალაქისაგან, სადაც ათასობით თეატრში სამსჯავროს ნაირფერადი წარმოდგენები გათამაშდებოდა, ხოლო დეკორაციებით მორთულ ეშაფოტებზე, ყველა დეტალში გამოხატული დასჯა, კანონთა კრებულის სახალხო ზეიმს გამართავდა.